მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი (ადარი) №3 (463) (5780) 2020

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ისრაელისა და ებრაელობის ირგვლივ

არჩევნები დამთავრდა. ტახტისთვის ბრძოლა დაიწყო

ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 2 მარტს ისრაელში მესამედ ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, 2 მარტის ღამე კი ერთ-ერთი უბედნიერესი გახლდათ ბინიამინ ნეთანიაჰუს ცხოვრებაში: პარტია ლიკუდმა, რომელსაც იგი მეთაურობს 36 მანდატი მიიღო. ასეთი რეზულტატი ამ პარტიას კარგა ხანია არ ჰქონია. მაგრამ მთავარი მაინც არა ერთი პარტიის — ლიკუდის მანდატების რაოდენობაა, არამედ ის, რომ მემარჯვენე ბლოკი, რომელშიც შედიან რელიგიური პარტიები, და „იამინა“,იმდენ მანდატს აგროვებდნენ, რომ ბინიამინ ნეთანიაჰუს აღარაფერი აბრკოლებდა — თითქმის შეეძლო მთავრობის შექმნა და პრემიერ-მინისტრის სავარძელში კვლავაც თავდაჯერებულად მოთავსებულიყო. ერთი მანდატი თუ აკლდათ, ეგ არაფერია, გამარჯვებულისაკენ ყველა მიიწევს და სხვა პარტიებიდან ერთს კი არა, შესაძლოა ორ დეპუტატსაც დაეტოვებინა თავისი პარტია და ლიკუდში გადმოსულიყო — მინისტრის პორტფელი ძალიან მომხიბლავია.

გარდა იმისა, რომ პრემიერ-მინისტრის პორტფელს კვლავაც ის იღებდა, ბინიამინ ნეთანიაჰუს სიხარულს ისიც აძლიერებდა, რომ სწორედ ამ დღეებში უნდა დაიწყოს სასამართლო პროცესი, რომელიც განიხილავს მისი დანაშაულებრივი ქმედებებების საკითხს (ქრთამი, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, კორუფცია და სხვ.) თუ იგი კვლავაც პრემიერი გახდება, საშუალება ექნება ვარირებისა და პატიმრობისგან თავის არიდებისა. იმასაც წერდნენ, თუ პრემიერი გახდა, სასამართლოსთან მოახერხებს შეთანხმებას: თავისუფლების სანაცვლოდ პოლიტიკურ სარბიელს გაეცლებაო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მემარცხენე პარტიების ნატვრა უფრო იყო, ვიდრე რეალობა: მართალია, 70 წელს გადააცილა მაგრამ ბინიამინ ნეთანიაჰუს დარი ძლიერი პოლიტიკოსები, თავისი ნებით იშვიათად დგებიან ჩრდილში. მითუმეტეს, რომ მისი პრემიერობის წლებში ისრაელმა დიდ ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწია.

ასე იყო თუ ისე, მემარჯვენეთა ბანაკში სიხარული, ეიფორიაც კი სუფევდა, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება, ეიფორია ხანმოკლე გამოდგა — პირიქითაც კი მოხდა: მემარცხენეთა ბანაკიდან არა მხოლოდ არავინ ისურვა პარტიის დატოვება, უფრო შემჭიდროვდნენ, ხმების დათვლის შემდეგ მემარჯვენეთა პარტიას ერთი მანდატი მოაკლდა. არაბულმა პარტიებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს: არიქა, კვლავ ნეთანიაჰუ — მემარჯვენეები მოდიან ისრაელის სათავეშიო და ისიც კი მივიდა არჩევნებზე, ვინც არასოდეს მისულა საარჩევნო ყუთთან — ამ არჩევნებზე ამომრჩეველთა 71.46% მივიდა (სექტემბერში არჩევნებისას ამომრჩეველთა 69.8% მივიდა საარჩევნო ყუთთან).

სააბოლოოდ ქნესეთის 23-ე მოწვევის არჩევნების შედეგი ასე ჩამოყალიბდა.

ლიკუდი-36 მანდატი (წინა არჩევნებისას ჰქონდა — 32)

კახოლ-ლავანი — 33 (ჰქონდა 33)

გაერთიანებული არაბული სია15(ჰქონდა 13)

შასი — 9 (ჰქონდა 9)

იაადუთ ჰა თორა7(ჰქონდა 7)

ი ჩ ს (ისრაელი ჩვენი სახლია)-7(ჰქონდა 8)

ავოდა-გეშერი-მერეცი — 7 (ჰქონდა 11)

იამინა — 6 (ჰქონდა 7)

მაგრამ მთავარი უსიამოვნება თურმე წინ იყო: მემარცხენეთა ბლოკი (პარტიები:კახოლ ლავანი, ავოდა-გეშერი-მერეცი} აქტიურად შრომობენ საიმისოდ რომ მიუხედავად მანდატების მოგროვების საკითხში უპირატესობისა, ნეთანიაჰუს არ მიეცეს საშუალება სამთავრობო კაბინეტის შექმნისა და აქედან გამომდინარე , პრემიერ-მინისტრობისა. საამისოდ დაიწყეს კანონპროექტის მომზადება. კახოლ-ლავანის პარტიიდან არჩეულმა დეპუტატმა ოფერ შელახმა 4 მარტს განაცხადა:

— ადამიანი, რომელსაც წაყენებული აქვს ბრალდებები, შეუძლებელია მინისტრი გახდეს! ჩვენ მას არ უნდა მივცეთ საამისო საშუალება.

ოფერ შელახი იმედოვნებდა რომ მის კანონ პროექტს მხარს დაუჭერდა პარტია ,,ისრაელი ჩვენი სახლია“ ლიდერი ავიგდორ ლიბერმანი,რომელიც ერთ დროს ნეთანიაჰუს თანამებრძოლი გახლდათ, დღეს კი კატეგორიულად ებრძვის მას.

არაბთა გაერთიანებულმა სიამ უკვე გამოაცხადა, რომ მხარს უჭერს ოფერ შელახის წინადადებას. ცხადია, მემარჯვენე ნეთანიაჰუ მათთვის მიუღებელია, აი მემარცხენეთა პარტია კი მათ მიმართ გაცილებით ლიბერალური გახლავთ, ხოლო „მერეცი“ პალესტინელებთან სულაც ძმობასა და ისრაელელთა თავდასხმებისას მათს დაცვას ქადაგებს.

მოგვიანებით ავიგდორ ლიბერმანის პარტიამ „ისრაელი ჩვენი სახლიამაც“ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ოფერ შელახის კანონპროექტს. კანონპროექტი კი მას შემდეგ შევა ქნესეთში, რაც იგი შეიკრიბება, ფიცს დადებს და სპიკერად არა ლიკუდელ იული ედელშტეინს, არამედ სხვას აირჩევენ.

ასე რომ არჩევნები დამთავრდა. ტახტისთვის ბრძოლა დაიწყო.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესში

ისრაელ-რუსეთის საქმიან ურთიერთობათა საბჭოს ეგიდით იერუსალიმში გაიმართა ბიზნესის წარმომადგენელთა შეხვედრა- დიალოგი „რუსეთი-ისრაელი“. შეხვედრის გახსნისას შესავალ სიტყვაში ეაეკ-ის გენერალურმა მდივანმა ხაიმ ბენ იაკობმა თქვა:

— ისრაელსა და კონგრესის წევრ სახელმწიფოებს შორის საქმიან — ბიზნეს ურთიერთობას ჩვენი კონგრესი მიიჩნევს, როგორც საზოგადოებრივი დიპლომატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. ამიტომ ყოველნაირად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ურთიერთსასარგებლო, მომგებიანი ბიზნეს-კავშირების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: რუსეთ-ისრაელის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის თანათავმჯდომარე, ისრაელის მთავრობისა წევრი ზეევ ელკინი, რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე აზერ მუტალიბ ოღლი ტალიბოვი, სანკ-პეტერბურგის გუბერნატორი ალექსანდრე ბეგლოვი, ეაეკ-ის პირველი ვიცე პრეზიდენტი, ისრაელ-რუსეთის საქმიანი საბჭოს თავმჯდომარე თემურ ხიხინაშვილი (ბენ იეუდა) და ბიზნესის ცნობილი წარმომადგენლები.

— რუსეთისა და ისრაელის ურთიერთობაში ეკონომიკის საკითხებში ბიზნეს თანამშრომლობას უმნიშვნელოვანესად მივიჩნევთ. მაღალ დონეზე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ბიზნეს გაერთიანებების ამ სფეროში თანამშრომლობა გახლავთ ამ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი და სასარგებლო ურთიერთობის დიდი გარანტი — განაცხადა თემურ ხიხინაშვილმა.

თავი ხერხემლისაგან განაცალკევეს

ეს ამბავი ორიოდე თვის წინათ დაიწყო: მამამ ცხრა წლის შვილი — ტარუ ამარი ჩაიხუტა და კისერზე უცნაური წამონაზარდი შეამჩნია. ექიმებმა განაცხადეს, რომ ეს არის უაღრესად საშიში სიმსივნე და აქვს ერთობ რთული ანატომიური განლაგება. იმის გამო რომ ოპერაცია თითქმის უპრეცედენტო გახლდათ, „შნაიდერისა“ და „ბეილისონის“ სამედიცინო პერსონალის წევრთაგან შეიქმნა ნეიროქირურგის, ოთოლარინგოლოგის, პლასტიკური და ყბა-სახის ქირურგისა და ანესთეზიოლოგისაგან შემდგარი საოპერაციო გუნდი.

„შნაიდერისა“ და „ბეილისონის“ საავადმყოფოების ექიმები 12 საათი აკეთებდნენ ოპერაციას — ცხრა წლის გოგონას საცოცხლის შენარჩუნების მიზნით, ფაქტიურად თავი სხეულისაგან განაცალკევეს და მერე ისევ მიუერთეს. ასეთი ოპერაცია ჩაატარეს, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ: თუნდაც უმცირესი შეცდომის შემთხვევაში, გოგონა მთელი სიცოცხლე პარალიზებული იქნებოდა. საოპერაციო ბრიგადის ხელმძღვანელმა ხერხემლის ნეიროქირურგიის სპეციალისტმა, პროფესორმა ეიაელ იცხაკმა ოპერაციის შემდეგ თქვა, რომ ეს იყო მთელი მსოფლიოს მაშტაბით უიშვიათესი ოპერაცია — პრაკტიკულად გოგონას თავი სხეულისაგან დაშორებული აღმოჩნდა, მერე კი შეერთება მოხერხდა მეტალის პლასტიკატის მეოხებით, რომელიც ხერხემალსა და თავის ქალას ბოლტებით მიამაგრეს.

პატარა ტარუს რეაბილიტაციის ხანგრძლივი კურსის გავლა მოუწევს, მაგრამ მთავარი საშიშროება უკვე გავლილია.

სამშობლოსაკენ!

23 თებერვალს გაიმართა ებრაული სააგენტოს მზრუნველთა საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ებრაელობის წარმომადგენლები. სხვა საკითხებთან ერთად, მზრუნველთა საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ სამხედრო შეტაკებებისას დაღუპულთა და ღაზას სექტორში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ისრაელში დაბრუნება. ისრაელის ხელისუფლება აქტიურად იღწვის უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო პირების — ლეიტენანტ ადარ გოლდინის, სერჟანტ ორონ შაულის, ასევე ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეების — ავერ მანგუსტუსა და ხიშამა ას-საიადას დაბრუნებისათვის.

გადაწყვეტილებაში, რომელიც მზრუნველთა საბჭოს წევრებს ებრაული სააგენტოს მეთაურმა იცხაკ ჰერცოგმა და მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ მაიკლ სიგალმა წარუდგინეს, მზრუნველთა საბჭო მსოფლიოს ებრაულ თემებსა და ორგანიზაციებს მოუწოდებს „გამოიჩინონ სოლიდარობა ოჯახის წევრთა მაძიებელი ადამიანების მიმართ — დაეხმარონ მათ შვილების, მეუღლეების ნეშტის სამშობლოში დაბრუნებაში“

მზრუნველთა საბჭოს წინაშე გამოვიდა დოქტორი ლეა გოლდინა — სამხედრო შეტაკებისას დაღუპული ადარ გოლდინის დედა. მან მზრუნველთა საბჭოს წევრებს მიმართა ყოველმა მათგანმა თავისი ქვეყნის მთავრობასთან იშუამდგომლოს, რათა ღაზას სექტორს მოსთხოვონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2474 რეზოლუციის შესრულება.

— მე აქ იმისთვის მოვედი, რომ დამეხმაროთ: მინდა ჩემი შვილის ნეშტი ისრაელის მიწას მივაბარო. იმედი მაქვს, ჩემს თხოვნას ყურად იღებთ, ჩემი მუდარა, მოქმედებას გაიძულებთ. როცა თქვენს ქვეყნებში დაბრუნდებით, თქვენს მთავრობებს მოსთხოვეთ, იმეცადინონ გაეროს 2474 რეზოლუციის შესრულებისათვის.

მზრუნველთა საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ისრაელის ხელისუფლების ბრძოლას დაკარგულთა ისრაელში დაბრუნებისათვის.

ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ

გაზეთ „მენორას“ რედაქციამ სთხოვა თბილისის ბეით ქნესეთისა და საქართველოს ებრაული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გამოეთქვათ თავთავიანთი მოსაზრება საქართველოში ებრაელთა რაოდენობის თაობაზე:

ებრაულ საინფორმაციო საშუალებებში ვრცელდება დემოგრაფიულ პრობლემათა ცნობილი მკვლევარის — სერჟიო დელა პერგოლას კვლევის შედეგები იმის თაობაზე, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში, თუ რამდენი ებრაელი ცხოვრობს. როგორც ისრაელში გამომავალი გაზეთი „მაკორ რიშონ“ მიუთითებს, კვლევისას პროფესორი სერჟიო დელა პერგოლა ეყრდნობოდა ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს, აშშ ებრაელთა ყოველწლიური კრებულის AJYB-ის და ებრაული სააგენტოს მონაცემებს. პროფესორის კვლევის შედეგი საქართველოში გამომავალმა ებრაულმა გაზეთმა „მენორამაც“ გამოაქვეყნა (იხ. „მ“ №2, 2020წ.)

ბ-ნი პროფესორის კვლევის თანახმად, დღეს (2019 წ.) საქართველოში ცხოვრობს 1.600 ებრაელი.

იმდენად რამდენადაც თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ურთიერთობა გაქვთ ებრაელ მოსახლეობასთან, იქნებ მკითხველს გაუზიაროთ მოსაზრება:

1. თქვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, დღევანდელ საქართველოში რამდენი ქართველი ებრაელი ცხოვრობს,

2. რამდენია აშკენაზი ებრაელი,

3. რამდენია სხვადასხვა ქვეყნებიდან ბიზნესის საწარმოებლად ჩამოსული ებრაელი?

გაზეთ „მენორას“ რედაქცია

1. ჩემი მონაცემებით საქართველოში ებრაელთა რაოდენობა შეადგენს 3000-7000 ადამიანს, ამხელა განსხვავება გამოწვეულია იმით რომ მათი რაოდენობა ითვლება განსხვავებული მეთოდებით: არიან ებრაელები, რომლებსაც სინაგოგასთან ხშირი კონტაქტი აქვთ, ასეთია დაახლოვებით 2200-2500 ქართველი ებრაელი, ისინი ასე თუ ისე მონაწილეობენ ებრაული თემის ცხოვრებაში, დღესასწაულებში და ა.შ. ამასთანავე ბოლო ხანს ძალიან მომრავლდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ადასტურებენ თავიანთ ებრაულ წარმოშობას წინაპრების ხაზით, და სურთ გამოიყენონ ისრაელში გადასახლების უფლება. (ისრაელის სახელმწიფოს კანონი აბსორციის შესახებ მათ ამის უფლებას აძლევს) თუ გავითვალისწინებთ ისრაელში ასულთა რაოდენობას ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მათი რიცხვი მრავალჯერ აღემატება იმ ებრაელთა რიცხვს რომლებსაც ჩვენ ვიცნობდით, როგორც ჩვენი თემის წევრებს.

2. სინაგოგასთან კავშირში მყოფ ებრაელთა შორის ჩემის აზრით, არის დაახლოებით 200-300 ე.წ. აშკენაზი ებრაელი, თუმცა, მე წინააღმდეგი ვარ ებრაელების ასე დაყოფის, მე მიმაჩნია რომ ყველა ვართ ებრაელები და არ უნდა დავიყოთ აშკენაზებად, ყუბელებად, ლახლუხებად, „ხაბადნიკებად“, ისრაელის ებრაელებად და ქართველ ებრაელებად, ასეთი ქმედებები მიმართულია ისედაც მცირე რაოდენობის ებრაელთა დაყოფა-დაქსაქსვისათვის და აქედან გამომდინარე ბოლო ხანს საქართველოში მომრავლებულ რელიგიური პირის თუ ბიზნესმენის სახელს ამოფარებული გარკვეული პირების მიერ კერძო ინტერესების გატარებისათვის.(ამის მაგალითია ევრაზიელ ებრაელთა კონგრესის დელეგატების აშკენაზი, ხაბადის და ქართველ ებრაელთა დელეგატების ცალ-ცალკე არჩევის,- უფრო კი სასურველი პიროვნების დანიშვნის მცდელობა, რასაც ხალხის პასიურობის გამო მეტ- ნაკლებად ახერხებენ)

3. ჩემი აზრით საქართველოში ბიზნეს საქმიანობას ეწევა დაახლოებით 800-1200 ისრაელის მოქალაქე, ამათგან დიდი უმეტესობა არჩევს ჩრდილში დგომას და ნაკლებ ჯამაათთან, სათემო ორგანიზაციებთან კონტაქტს და ამიტომ არ მაქვს ბევრი ინფორმაცია მათ შესახებ.

ბატონო გურამ, მოგესალმებით,

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვეწევით ებრაელთა აღრიცხვის სტატისტიკას და ნებისმიერი რიცხვი, რომელსაც გავაჟღერებ, გახლავთ ვარაუდი, ისრაელში რეპატრიაციის უფლების წესის თანახმად.

ვარაუდი კი ეყრდნობა საერთო ვარაუდს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

მეტნაკლებად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ხესედებში აღრიცხვაზე მყოფი ხანდაზმულების და ბავშვების ჯამი, წარმოადგენს 25% - 35% - მდე ებრაელთა საერთო ოდენობისა.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ რადგან საქართველოში დახმარების, შემწეობის აღრიცხვაზე მყოფ ებრაელ ხანდაზმულთა ოდენობა 1400 -მდეა და ბავშვების კი 600-მდე, შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ საქართველოს ებრაელთა ოდენობა მაქსიმუმ 7500-8000-მდე და მინიმუმ 5500-6000 მდე შეიძლება იყოს.

მეორე და მესამე კითხვებზე პასუხი არ მაქვს ინფორმაციაზე წვდომის არ არსებობის გამო.

ზოჰარ დავიდი
აშშ ებრაელთა საქველმოქმედო — გამავრცელებელი ორგანიზაციის „ჯოინთი“-ს წარმომადგენელი

მოგესალმებით ბატონო გურამ,

მინდა გიპასუხოთ თქვენ წერილში მოყვანილი იმ ინფორმაციის თაობაზე, თუ რა რაოდენობის სამეურვეო პირი ირიცხება ამჟამად „ხესედი ელიაჰუ“-ში. ჩვენ ეს ციფრები არაერთხელ მოვიხსენიეთ, იმ ინტერვიუებში, რომლებიც იბეჭდებოდა თქვენ გაზეთში „ხესედი ელიაჰუ“-ში მიმდინარე სამუშაობის შესახებ. დღეისათვის „ხესედი ელიაჰუ“-ში ჩვენი კრიტერიუმების მიხედვით 60 წლის ზემოთ ქალბატონები და 65 წლის ზემოთ მამაკაცები ირიცხება 1163 ადამიანი, ხოლო 0-16 წლამდე ბავშვები 281 ბავშვი. სულ საერთო ჯამში დაახლოებით 1450 ადამიანი. აღნიშნული რაოდენობა სავარაუდოდ ითვლება იმ ებრაული მოსახლეობის 25-35% , რომლებიც ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში და კახეთის რეგიონში.

პატივისცემით,

რევაზ შათაშვილი
„ხესედი ელიაჰუ“-ს დირექტორი

სოხნუთის საქართველოში წარმომადგენლობის მეთაურის--ბ-ნ ავი ოფირის თბილისში არყოფნის გამო სოხნუთის თბილისის განყოფილების თანამშრომელმა ლევ სამოვსკიმ მოგვაწოდა ვიკიპედიის ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია:

https://en.wikipedia.org/wiki/Jewish_population_by_country

СТРАНА COUNTRY	Core Population Основная популяция	Connected Population Связанная популяция	Enlarged PopulationУвеличенная популяция	Eligible PopulationПриемлемая популяция	Национальнаястатистика National officialstatistics
Georgia	1,600	4,500	6,000	8,700	[33]1,417 (2014)

რედაქციისაგან: საქართველოში ებრაელთა რაოდენობისადმი ინტერესი არ გახლავთ შემთხვევითი და მოულოდნელი: ზოგჯერ აქა-იქ გაიგონებთ მოსაზრებას თითქოს დადგა ჟამი, როცა ებრაელობა საქართველოში არსებობას ამთავრებს. ეს მოსაზრება თითქმის დაადასტურა კვლევამ, რომელიც ბოლო ხანს მსოფლიოს ებრაული მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ვრცელდება და რომლის მიხედვითაც საქართველოში 1600 ებრაელიღა დარჩა.

წარმოდგენილ პასუხებთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ შემდეგი:

1. საკითხის მეტნაკლებად გარკვევის მიზნით, „მ“ სწორედ იმ ინსტიტუციების მეთაურებს მიმართა, რომლებსაც სამსახურეობრივად უშუალო, ლამის ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ ქვეყნის ებრაელობასთან. მადლობას მოვახსენებთ იმ პირთ, რომლებმაც რედაქციის შეთავაზება ყურად იღეს და თავთავიანთი მოსაზრება გაგვაცნეს. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მათი ინფორმაცია სრულყოფილი და ურყევია, მაგრამ რეალობასთან ძალიან მიახლოებული და ამდენად, ანგარიშგასაწევი რომ გახლავთ, მტკიცედ გვჯერა და შეგვიძლია მკითხველიც დავარწმუნოთ.

2.როგორც მოსალოდნელი იყო და ზემოთ წარმოდგენილმა გამოკითხვამაც დაგვიდასტურა, ერთობ ნაადრევი და მიუღებელიცაა საუბარი იმაზე, რომ ებრაელობა საქართველოში მრავალსაკუნოვან არსებობას ამთავრებს. ჩვენს ქვეყანაში გაცილებით მეტი ებრაელია, ვიდრე საერთაშორისო ებრაულ გამოცემებში გამოქვეყნებული კვლევის ავტორები და სხვა ორგანიზაციებიც აცხადებენ. ცთომილება კი არც ისე უმნიშვნელოა — ათასობით განიზომება.

ეს ფაქტი რაზე მიუთითებს?

ის ებრაული ორგანიზაციები, საქართველოს ებრაელობის სახელით რომ აღმოცენდნენ და მსოფლიო მასშტაბისად კი მიიჩნევენ თავს, მოვალენი გახლავან ასეთ საკითხებს მოაბან თავი. გასაგებია, რომ ზოგ მათგანს კარგი დარი არ უდგათ, მაგრამ სულს ღაფავენ, თუ აქტიურ მუშაობას ეწევიან, ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა — რახან არსებობენ, უნდა გაისარჯონ და გაარკვიონ, რამდენი ადამიანის სახელით მოქმედებენ — რამდენი ვართ დღეს საქართველოში და მსოფლიოში რამდენი ებრაელი მიიჩნევს თავს ქართველ ებრაელად. ეს მით უფრო საინტერესო და სჭიროა, რომ ჩვენს დროში ბევრი რამ იცვლება, მათს შორის ადამიანების იდენტობაც. ვფიქრობთ, რედაქციის ამ თხოვნას ათასობით ქართველი ებრაელი შეუერთდება.

საქართველოს ებრაელი მეცნიერები

მე 19–20 საუკუნეები

პროფესორი
დოდო ჩიკვაშვილი –
თელ–ავივის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკ-ტი

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „მ“ №1,2)

პროფესორი **შლომო იანეცი (ჩაჩანაშვილი)** (1948) – მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მრავალი საერთაშორისო გრანტის მომპოვებელი და მსოფლიოში წამყვან უნივერსიტეტებში მიწვეული პროფესორი 50–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და პატენტის ავტორი. 1991 წლიდან ხელმძღვანელობს მეორე და მესამე აკადემიურ ხარისხზე მოღვაწე სტუდენტებს.უდიდესი ნდობა და აღიარებაა, როდესაც პროფესორი შლომო იანეცი დაინიშნა ისრაელში წამყვანი უშიშროების დაცვის კომპანიის მიერპროექტის ხელმძღვანელად “სატელიტური ფოტოგრაფირების გაუმჯობესების შესაძლელობანი“. ბარ–ილანის უნივერსიტეტში „ოლიმ ხადაშიმ“ მეცნიერთა ნაყოფიერად მოღვაწე კურატორია.

პროფესორი **კლარა ვინოკურ** (1953) – კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, თხევადი კრისტალების კვლევის სპეციალისტი და ექსპერტი. 10 პატენტის, მონოგრაფიის, 70 სტატიის 35 საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებული მასალის ავტორია. ეწევა სამეცნიერო კვლევას კომპანია “ოვა” –ში. 1989 წ. საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ისრაელში აღიარებულია საუკეთესო მეცნიერთა შორის.

ალექს პელეგი (1952) –ფიზიკა–მათემატიკის დოქტორი. ხელმძღვანელობდა განათლების სამინისტროსთან არსებულ გამოთვლითი ცენტრის ინფორმატიკის განყოფილებას. 2 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს, 27 სტატიის ავტორი. 1989 წ. საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

აბენ ხვოლესი (1951) – მათემატიკის დოქტორი რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, ბარ–ილანის უნივერსიტეტის ლექტორი, 17 სტატიის ავტორი მათემატიკური ანალიზის სფეროში.

პროფესორი **მიხაილ მეგრელიშვილი** (1959) – თსუ კურსდამთავრებული. ასწავლის ბარ–ილანის უნივერსიტეტში ალგებრა და ტოპოლოგიის სპეციალობით, მრავალი გრანტის მომპოვებელი. უკანასკნელი 30 წლის მეცნიერთა ალიის წარმომადგენელთა შორის პირველთაგანს მიენიჭა პროფესორის წოდება.

პროფესორი **ბენციონ (ბესო) მიხელაშვილი** პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სწავლა სანქტ-პეტერბურგის იოფეს სახ. ფიზიკა–ტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო. კვლევის შედეგები: 97 ნაშრომით, 6 პატენტითა და 68 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მოხსენებული მასალით არის წარმოდგენილი. 1992 წლიდან ხაიფის ტექნიონში მოღვაწეობს ელექტრონიკის საინჟინრო ფაკულტეტზე.

შათაშვილი ნანა — ასტროფიზიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მრავალი შრომის ავტორი, ხშირად გახლავთ მიწვეული სხვადასხვა სახელმწიფოების სამეცნიერო ცენტრებში,

პროფესორი **ჰერცელ ბარი** — **გელა ეხისკელაშვილი** (1935-2013) შჰენკარ-ის საინჟინრო ტექნოლოგიის და მოდის კოლეჯში საფეიქრო–საინჟინრო დეპარტამენტის უფროსი. დირექტორთა საბჭოს წევრი, აკადემიურ პერსონალთა თავმჯდომარე. 1982 წ. – ისრაელის სახელმწიფო — ბენ–გურიონის სახ.პრემიის ლაურეატინაშრომისათვის „ბამბის თერმული დამუშავება თაფლის მცვარის ზეგავლენის შესამცირებლად“. ავტორია 380 სტატიის, 20 პატენტის და 21 წიგნის.

დოქტორი **გარი ჯინჯიხაშვილი** (1951) –თსუ ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, დოქტორის წოდება ჰიდრავლიკის სპეციალობით მოიპოვა. ისრაელის ელექროკომპანიის წამყვანი მეცნიერ- მუშაკი და მრავალი საინჟინრო პროექტის ექსპერტი.

პროფესორი **სიმონ სიმონიშვილი** (1933) დაამთავრა ლენინგრადის საინჟინრო–ეკონომიკური ინსტიტუტი, ასწავლიდა თსუ–ში. მისი სამეცნიერო–კვლევითი ინტერესები ეხება ეკონომიკური ანალიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს: „წარმოების ეფექტურობა და საფინანსო შედეგების შეფასება, პროგნოზირება, დიაგნოსტიკა და პერსპექტივების დამუშავება“. 19 სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის, მრავალი სტატიის ავტორია.

სერიოზული და ნაყოფიერი წვლილი შეიტანეს თემის მეცნიერებმა ქიმიის და ბიოლოგიის დარგში:

პროფესორი **იოსებ ქურჩიშვილი** (1916–1985), სამედიცინო მეცნიერების მოამაგე, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე, ქართული მედიცინის ისტორიული წარსულის მკვლევარი. გამოქვეყნებული აქვს 200 სტატია, 12 წიგნი და მონოგრაფია.

როიტბაკი ალექსანდრე (1919–1995) საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, ი.ბერიტაშვილის მოწაფე, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, ტვინის ქერქის ზოგადი ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგე. მის მიერ იქნა წარმოდგენილი ჰიპოთეზა – ნეიროგლიის მნიშვნელობაზე დროებითი კავშირების წარმოქმნაში, რაც საფუძვლად უდევს პირობით რეფლექსებს.

პროფესორი **მიხაილ ხანანაშვილი** (1928-2019) საკავშირო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, 1980–1991 წწ. – ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. მან შემოიტანა ცნება საინფორმაციო ნევროზები, ჩამოაყალიბა უმაღლესი ნერვული მოქმედების ექსპერიმენტული პათოლოგიის სამეცნიერო სკოლა. ავტორია 16 მონოგრაფიის და 300 სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი მსოფლიო აკადემიის მეცნიერული საზოგადოების წევრია. არაერთველ იქნა დაჯილდოებული, მათ შორის (1991) პავლოვის სახ. ოქროს მედლით – „ფიზიოლოგიის განვითარების თვალსაჩინო გამოგონებისათვის“.

პროფესორი **ილია აივაზაშვილი** (1929–1998) იკვლევდა მეხსიერების სხვადასხვა ფორმის ნეიროფიზიოლოგიურ მექანიზმებს. ასამდე შრომის, 2 მონოგრაფიის და ქართულ ენაზე ბიოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორია. პარალელურად მონდომებით მუშაობდა იუდაიზმის პოპულარიზაციაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლოტარ ხანანაშვილი** (1930–2005) ხელმძღვანელობდა თსუ მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის კათედრას. მისი სამეცნიერო მიღწევები ასახულია 500–ზე მეტ პუბლიკაციაში, 2 მონოგრაფიასა, 130 საავტორო მოწმობასა და 30 საზღვარგარეთის პატენტში.

პროფესორი **შალომ (შურა) ფიჩხაძე** (1934–2012) ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიუ–იორკის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი. ორგანული, მონო– და პოლიმერთა ქიმიის, საღებავთა ექსპერტი. 140 პუბლიკაციის, 12 მონოგრაფიის, უმაღლესი სკოლის 2 სახელმძღვანელოს და 12 პატენტის ავტორია.

სასოფლო–სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი **იური ალხაზოვი** (1935) – საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. უდიდესი წვლილი შეიტანა ჩაის კულტურის შესწავლის საკითხებში – 220 პუბლიკაციის ავტორია.

აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ სეფიაშვილი** – იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი(1993) და დირექტორი. ავტორია სახელმძღვანელოსი „იმუნოლოგიის შესავალი“, 350 ნაშრომის, 18 მონოგრაფიის. ახალი მეცნიერული მიმართულების ფუძემდებელია – „იმუნორეაბილიტოლოგია“.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **მერი ბახანაშვილი** (1953) – ბარ–ილანის უნივერსიტეტის პროფესორი, ტელ-ჰა-შომერის საავადმყოფოში შიდსის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე. მაღალი ციტირების ინდექსის მქონე 57 სამეცნიერო სტატიის ავტორია, მოპოვებული აქვს არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო გრანტი. ისრაელში და უცხოეთში ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების აქტიური მონაწილეა, კვლევის დარგში საპატიო ექსპერტია. აუწონელი ღვაწლი დასდო ახალჩამოსულთ კონსულტაცია–რეკომენდაციებით.

პროფესორი **თემურ ბააზოვი** – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი – მოღვაწეობს ხაიფის ტექნიონში ქიმიის ფაკულტეტზე. ბიოკატალიზის სპეციალიზაციით 50 სტუდენტის ნაშრომის ხელმძღვანელი, 57 პუბლიკაციის ავტორი.

პროფესორი **დანიელ ხანანაშვილი**, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თელ–ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგია და ფიზიოლოგიის კათედრის გამგე. შეისწავლის გულის კუნთში მიმდინარე მოლეკულურ მექანიზმებს. მოპოვებული აქვს არაერთი გრანტი, 48 სამეცნიერო სტატიის ავტორია.

ამ სტრიქონების ავტორი პროფესორი **დოდო ჩიკვაშვილი** (1952) თელ–ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე მოღვაწეობს, 49 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. საქართველოში და ისრაელში ვიკვლევდი ნერვული სისტემის ცილების ბიოქიმიურ მექანიზმებს.

მსურს, თუნდაც მხოლოდ სიით, მაგრამ აუცილებლად, მათ უკვავსაყოფად, წარმოგიდგინოთ მეცნიერი ქალბატონები, რომელთაც დატოვეს ნათელი კვალი: მათ აღზარდეს მრავალი კვალიფიციური პროფესიონალი, მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე რომ მოღვაწეობენ.

ბაბალიკაშვილი ვერა – (1924-2010) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

ბაბალიკაშვილი ნანი – (1947-1993) უცხო ენათა კათედრის დოცენტი,

ბაბურაშვილი ეთერი – (1923-1999) სასოფლო-სამეურნეო მეცნ. კანდიდატი,

თავდიდიშვილი სიმა – (1932-2012) მეცნიერებათა დოქტორი, გერმანისტი,

თეთრუაშვილი ლეილა – (1941-2007) მეცნიერებათადოქტორი, გერმანისტი,

იოსებაშვილი ნანა –(1950-2016) ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

მეგრელაშვილი ფატი – მეცნ. კანდიდატი, ფსიქოლოგი,

მიხელაშვილი მირიამი – (1934-1989) პროგრამირების ცენტრი, ინფორმატიკა,

რაზდოლსკი ლუბოვ – (1934-2008) ფიზიკის მეცნ. დოქტორი,

სეფიაშვილი ლილი – (1931-1991) ქიმიკოსი, თსუ, დოცენტი,

სლიოზ ირინა – (1928-2015) უცხო ენათა ინ–ტი, ინგლისური ენა,

ფიჩხაძე მარი — (1918-2006) ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

ფიჩხაძე–კაკიტელაშვილი რაისა — (1918-1979) ბიოლ. მეცნიერებათადოქტორი,

ქოსაშვილი მარია - (1939-2007) იუსტიციის დოქტორი, რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის კოდიფიკაციის განყოფილების გამგე,

შკოლნიკი ასია – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი,

წითლიშვილი რივა– (1926-1975) მეცნ. კანდიდატი, ეთნოგრაფი,

წიწუაშვილი ეთერი – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

წიწუაშვილი ზაირა – მეცნ.დოქტორი, ინგლ. ენა, პედაგოგიკის ინსტიტუტი,

ხვოლესი იდა – (1923-2004) ქიმიკოსი საიდუმლოების გრიფით მკვლევარი,

ხვოლესი როზა – (1934-1989) მათემატიკური სტატისტიკა,

არასოდეს დავკმაყოფილებულვარ შესრულებულით, მუდამ ვხედავ, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში. ამის დასტურად მსურს კორექცია შევიტანო „მენორა“ 2, 2020 წლის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში: არიელის უნივერსიტეტის პროფესორი მოსე დანიელაშვილი (1938) 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და ორი მონოგრაფიის თანაავტორია. ნაგებობათა სეისმომედეგობის სპეცილისტი, სამოქალაქო მშენებლობის პროექტების კვლევის საკითხებში ექსპერტი და კონსულტანტია.

როგორ უშველა ნიკო ნიკოლაძემ აბნერ კრიხელს

ბატონო რედაქტორო !

მამაჩემის — დავით ბუზუკაშვილის პირადი არქივიდან ძალზე საყურადღებოა მის მიერ წლების განმავლობაში მოძიებული უნიკალური, რეალური ფაქტების ციკლი. ციკლში თავმოყრილია მასალები ცალკეულ წარჩინებულ ქართველთა მიერ ებრაელთათვის გაწეულ ადამიანურ სიკეთეზე. მათი დახმარებით ის ებრაელები სხვადასხვა განსაცდელს გადაურჩნენ. მამა ქართველთა მიერ ებრაელობისადმი დახმარების ოქროს ფაქტებს დაეძებდა და წლების განმავლობაში სტრიქონ - სტრიქონ კინძავდა, ელოლიავებოდა.

პირადად მე ამ ციკლს ზნეობის ანთოლოგიად მოვიაზრებ. თუმცა, ამ უნიკალურ ფაქტებს სადღეისოდ უფრო აღმატებული - პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნია.

იმ ოქროს გალერეიდან ამჯერად გთავაზობთ მამაჩემის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, დავით ბუზუკაშვილის პირადი არქივიდან ერთ მასალას. 1978 წლის ნოემბერში გაზეთ „სამშობლოში“ (№21-22) გამოქვეყნებულ პუბლიკაციას.

მარინა ბუზუკაშვილი



ერთ დღეს ჩემს ბინაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ცნობილმა ქიმიკოსმა ბენო ტოგონიძემ მაუწყა, რომ მას მოეპოვება დოკუმენტური ნაამბობი იმის თაობაზე, თუ დიდმა ქართველმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ როგორ იხსნა გასაჭირისაგან მასთან მოსამსახურედ ნამყოფი გაჭირვებული ქართველი ებრაელი — აბნერ კრიხელი. ამის შემდეგ ბ. ტოგონიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. ზემოხსენებული ნაამბობი კი მოგვიანებით გადმომცა მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ი. ტოგონიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

- ჩვენი ოჯახი ცხინვალში ცხოვრობდა. მამაჩემი წვრილმანებით ვაჭრობდა და მრავალშვილიან ოჯახს ძლივს არჩენდა. რვა წლის ვიქნებოდი, როცა მამა ყაჩაღებმა სოფელ მეჯვრისხევთან მომიკლეს. ამიტომ, 1890 წელს ქალაქ ფოთში გადავსახლდით, სადაც იძულებული ვიყავი ლუკმა პურზე მეფიქრა. ნათესავმა ცხრა წლის ბიჭი სასტუმროს პატრონს მიმაბარა წელიწადში 10 მანეთად. სამი წლის აუტანელი შრომის შემდეგ სასტუმროში მუშაობას თავი დავანებე და ბულვარში მზესუმზირის გაყიდვა დავიწყე.

ნიკო ნიკოლაძის ოჯახი იმხანად ფოთის ყველაზე ღირსშესანიშნავ ნაგებობაში - კოშკში ცხოვრობდა. მისი ოთხი შვილი და მათთან სათამაშოდ მისული სხვა ბავშვები მზესუმზირას ჩემგან ყიდულობდნენ - ჭიქას ერთ კაპიკად. ბავშვებმა ნიკო ნიკოლაძის ოჯახს დამაახლოვეს. შემდეგ ფესაცმლის მწმენდავი გავხდი და მათ ოჯახში სიარულს მოვუხშირე. ასე დავიმახსოვრე ბატონი ნიკოს ყურადღება. მისი დიდი სურვილი იყო, რომ სკოლაში მესწავლა, მაგრამ არც ამის საშუალება გვქონდა და არც დედაჩემს სურდა ჩემი სწავლა (ნიკო ნიკოლაძის ეს სურვილი სრულ უნისონშია გაზეთ „დროების“ 1871 წლის 18 აგვისტოს ნომერში გამოთქმულ მის თვალსაზრისთან: „თუ ებრაელთა შვილები ჩვენს შვილებთან გაიზრდებიან, თუ ებრაელი ყმაწვილი ხეირიან განათლებას მიიღებს, ისინი ძმურად გამოგვადგებიან ჩვენ ჭირსა და ლხინში“ - დ.ბ.)

დრო გადიოდა და ნიკო ნიკოლაძის ოჯახიდან სულ უფრო მეტ დავალებებს ვიღებდი, რომელთაც პირნათლად ვასრულებდი. გასამრჯელოს როგორც ფულად, ისე საჩუქრების სახით მაძლევდნენ. შემდეგ ბატონმა ნიკომ მიყიდა ცხენი და ეტლი, რითაც ბირჟაზეც ვმუშაობდი და ქალაქის თავის ოჯახსაც ვემსახურებოდი.

1904 წელს ჯარში გამიწვიეს. მალე რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო და ვმონაწილეობდი პორტარტურის დაცვაში. იაპონიასთან ზავის დადების შემდეგ კვლავ ფოთში დავბრუნდი და ნიკო ნიკოლაძის დახმარებითა და ხელშეწყობით ახლადშექმნილ საკუთარ ოჯახს შეძლებისდაგვარად ვარჩენდი.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და ისევ ჯარში გამიწვიეს. ერთ-ერთი შეტაკების დროს რამდენიმე ჭრილობა მივიღე და ტყვედ ჩავვარდი. მომათავსეს გერმანიის ქალაქ კრომენბურგის სამხედრო ტყვეთა ბანაკში. ჭრილობების მოშუშების შემდეგ გამამწესეს იმავე ქალაქის ტყვეთა ბანაკში, სადაც ბევრი ქართველი ტყვე იყო. ცხოვრების პირობები კი ყოვლად აუტანელი...

ჩემთვის დაუვიწყარია ის დღე, როცა მოულოდნელად გამოგვიცხადეს: ქართველ ტყვეთა მდგომარეობის გასაცნობად დელეგაცია ჩამოვიდაო.

სამხედრო მწყობრში ჩამწკრივებულ, ძონძებით შემოსილ ტყვეთა რიგებს გერმანელი ოფიცრების თანხლებით, მოუახლოვდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე პირი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სტუმართა შორის თვალი მოვკარი ჩვენი ოჯახის მხსნელსა და მფარველს, ბატონ ნიკო ნიკოლაძეს. ხოლო როცა მან წინ ჩამიარა, უნებლიედ აღმომხდა: - „ბატონო ნიკო!“

იგი შემობრუნდა, მომიახლოვდა, მიცნო, ხელი ჩამომართვა და გადამკოცნა. ამან დიდად გააოცა გერმანელი ოფიცრები. ბატონი ნიკო დამპირდა - დღესვე გაგათავისუფლებო.

მართლაც, ოთხიოდე საათის შემდეგ ბანაკიდან გამომწერეს და სამხედრო პირთა თანხლებით იმ სასტუმროში მიმიყვანეს, სადაც ბატონი ნიკო დაბინავებულიყო. თუმცა, იმ მომენტში თავად იგი სასტუმროში არ იყო, მაგრამ სასტუმროს ხელმძღვანელობა წინასწარ გაეფრთხილებინა და მათაც მაშინვე აბანოში გამგზავნეს, სადაც ახალი ტანსაცმლით შემმოსეს. მალე იმავე სასტუმროში დამაბრუნეს და ჩემთვის დაკვეთილ ნომერში მომათავსეს. იქ კი გვარიანად გამიმასპინძლდნენ.

მეორე დღეს ბატონი ნიკო პარიზში გაემგზავრა. მეც თან წამიყვანა და თავის ახლობლებთან დამაბინავა.

პარიზში რამდენიმე დღეს დავრჩი. ამ ხნის განმავლობაში ბატონმა ნიკომ კარგად გამომაწყო. ბოლოს კი თავის ახლობლებთან ერთად მიმაცილა ნავსადგურამდე, საიდანაც გემით „ფრანც მორინ“ საქართველოსკენ მომავალს გზა დამილოცა. საგულისხმოა, რომ ბატონმა ნიკომ და მისმა ახლობლებმა ფულითაც გამიმართეს ხელი. მათგან საჩუქრად მიღებული 185 დოლარი სტამბულსა და ბათუმში გადავცვალე რუსეთის ვალუტაში.

ამრიგად, სავსებით იმედგადაწურული, ნაჭრილობევი და შრომის უნარწართმეული ინვალიდი ნიკო ნიკოლაძის წყალობით, კვლავ დავუბრუნდი საკუთარ კერას. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევით სამშობლოში დაბრუნდნენ ის ქართველი ტყვეებიც, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ გამწესებულნი გერმანიის ქალაქ კრომენბურგის ბანაკში.

ფოთში დაბრუნების შემდეგ, კვლავაც ნიკო ნიკოლაძისავე უანგარო დახმარებით ფეხზე წამოვაყენე ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომის დროს შექმნილი საკუთარი ოჯახი...

დავით ბუზუკაშვილი

P.S. საგულისხმოა, რომ ეს მასალა მამას ხელნაწერიდან გადმოვბეჭდე. ზემოაღნიშნულ საგაზეთო პუბლიკაციაში კი ნაამბობის ფინალი გაგრძელებულია, როგორც ჩანს, რედაქციის მიერ, თანაც უცხოეთში მცხოვრები მკითხველისადმი გამიზნული იდეოლოგიური მოტივაციით (გაზეთი „სამშობლო“ „გოდიქსის“ ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოების ბეჭდვითი ორგანო გახლდათ. მ.ბ.).

აი, იმ საგაზეთო მასალის რედაქციისეული დასასრული: „მალე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რამაც მშრომელთათვის შეძლებული ცხოვრების საუკეთესო პირობები შექმნა. მაგალითისთვის ჩემი ოჯახიც კმარა - ჩემმა ოთხმა შვილმა უმაღლესი განათლება მიიღო...

ამ სიტყვებთ დაამთავრა თავისი დოკუმენტური ნაამბობი აბნელ (ანუ აბნერ - მ.ბ.) კრიხელმა.“

მ. ბუზუკაშვილი

ზემოთმოხსენიებული მეცნიერები არიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი.

ჩვენი თემის წარმომადგენელთა მე–20 საუკუნის ისრაელში მეცნიერული კარიერის განვლილ გზაზე მხოლოდ რამდენიმეთი შემოვიფარგლები.

პროფესორი, ბიოქიმიკოსი **ისრაელ ხანუკოგლუ (ენუქაშვილი)** – არიელის უნივერსიტეტში მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების დამაარსებელი და ხელმძღვანელი. პრემიერ მინისტრის — ბინიამინ ნეთანიაჰუს მრჩეველი მეცნიერების დარგში, 3 წიგნის, 58 ნაშრომის, სახელმძღვანელოებში 12 თავის ავტორია.

ეკონომიკის პროფესორი, **დანიელ ლევი (ლევიაშვილი)**, ბარ–ილანის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის განყოფილების გამგე. ამერიკისა და საქართველოს საპატიო მიწვეული პროფესორი. კვლევის საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე მსოფლიო ბანკების მრჩეველია, მრავალი გამოცემის რედაქტორი და სტუდენტთა პროექტების ხელმძღვანელი.

პროფესორი **მოშე მანი (მანაშეროვი)** — წლების მანძილზე თელ–ავივის უნივერსიტეტის პრეზიდენტი გახლდათ, ამჟამად აშკელონის კოლეჯს განაგებს.

პროფესორი **მოშე ისრაელაშვილი**, თელ–ავივის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე მოღვაწეობს.

ამ ჯგუფის მეცნიერთა გამოვლინება და გაცნობა პროექტის სამომავლო და სპეციალურ ნაწილს წარმოადგენს. აგრეთვე, ცალკე კვლევა არის ჩასატარებელი მედიცინის დარგში მოღვაწე მეცნიერებზე, ვით შევძლოთ მათი მასშტაბურად წარდგინება. მათი წვლილი მოხსენებული გახლდათ 2014 წელს ისრაელში ბარ ილანის უნივერსიტეტში, დოქტორ იაკობ ოფირის (ეფრემაშვილი) (1945) ხელმძღვანელობით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე: „საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ყოფის შესახებ“. თემში მრავალი საქმის ინიციატორმა და მის ავტორიტეტზე მზრუნველმა, დისერტაცია დაიცვა თემაზე: „ებრაული კულტურის არსი ანტიკური ხანის ისტორიაში“.2015 წელსბატონმა იაკობმა ჩამოაყალიბა „საქართველოს ებრაელთა ისტორიის და ყოფის აღნუსხვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი“. ამჟამად მუშაობს საქართველოს ებრაელთა ისტორიის პირველ ტომზე, რომელიც რედაქტირების პროცესშია. ბატონი იაკობი ილიას სახელმწიფო და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების საპატიო მიწვეული პროფესორა.

ეს ფორმატი საშუალებას არ იძლევა ვრცლად, მასშტაბურად წარმოგიდგინოთ ჩვენი თემის ღირსეული ყველა მეცნიერი, ზოგ მათგანზე მასალაც კი ვერ მოვიპოვე. თემის მეცნიერთა უფრო სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით, მკითხველებს გთხოვთ მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ხელგეწაფებათ.

რედაქციისაგან: გაზეთი „მენორა“სამ ნომერში ბეჭდავდა ქ-ნი დ. ჩიკვაშვილის კვლევის შედეგს, რადგან მიგვაჩნია, რომ მეცნიერმა ქალბატონმა ფრიად საშური საქმე გააკეთა. ახლა ჩვენი, ვისაც ეს ხელეწიფება, ვალია დავეხმაროთ მას ამ ჩინებული საქმის დაგვირგვინებაში — გადახედოთ, ჩავუღრმავდეთ ამ პუბლიკაციას და თუ აღმოაჩნეთ, რომ გამოტოვებულია ესათუის მეცნიერი, აცნობოთ ავტორს, ან რედაქციას. ეს იქნება ჩვენი მიღწევების-- ქართველ ებრაელთა ღვაწლის სრულად გამოვლინების საშუალება.

ნუ დავკარგავთ იმას, რისთვისაც მიგვიღწევია, რაც გვიკეთებია.

საქართველოს ებრაელთა სალოცავები

მოშე დანიელი (მოსე დანიელაშვილი)
ინჟინერ-მშენებელი,
მეცნიერებათა დოქტორი,
არიელის უნივერსიტეტის პროფესორი,
ისრაელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №1,2)

მათი (ლახლუხების) სასაუბრო ენა ახალასირიული ენაა, რომელიც არამეულის მსგავსია, არამეულს მნივნელოვნად უახლოვდებოდა, ხოლო მოქალაქეობრივი სტატუსით ისინი სპარსეთის ქვეშევრდომები იყვნენ და საბჭოთა წყობილების დროსაც, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე დარჩა, რის გამოც მათი უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50-იანი წლების დასაწყისში გადასახლებული იქნა, მაგრამ ამ მოქალაქეობრივ სტატუსს შემდგომში ერთი უპირატესობაც მოჰყვა-ზოგმა მათგანმა დიდ ალიამდე ბევრად უფრო ადრე მიიღო ისრაელში ალიის შესაძლებლობა.

თბილისის მოქმედი — აშქენაზების სინაგოგა აშენებულია მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1910 -1915 წლებით თარიღდება და 30-იან წლებამდე ლახლუხების სალოცავი იყო. იქ ხახამი რაბი მიზრახი გახლდათ. 1920-30-იან წლებში თბილისის ლახლუხებს შორის გამოირჩეოდა თვალსაჩინო თავკაცი აკივა მოშე-ოღლი (ბარ-მოშე). თანამედროვეთა გადმოცემით მას ბევრი ქველმოქმედება გაუწევია თავისი თემისათვის. აქ უნდა ავღნიშნო, რომ მისი ორი ვაჟიშვილი-მოშე და მიხაელი 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, ხოლო 50-იანი წლების დასწყისში აკივას ქვრივი რახელი თავისი ორი ქალიშვილით, სარა და მირიამით, ციმბირში “პერსიდსკი პოდდანობის” (სპარსეთის ქვშერდომობის) გამო გადაასახლეს, სადაც დაჰყვეს 5 წელი. 70-იან წლებში კი ისრაელში ამოვიდნენ, სადაც მირიამ ბათ მოშემ, დიპლომირებულმა თეატრთმცოდნემ, 25 წელი იმუშავა ისრაელის რადიოსადგურში ქართული გადაცემების განყოფილების დიქტორად. 1920-იან წლებში საბჭოთა მთავრობამ თბილისში აშქენაზების ებრაელობას ჩამოართვა მათი კუთვნილი ორი სალოცავი. აშქენაზების მთავარმა რაბინმა ხაიმ კუფჩანმა (1882- 1953 წ.წ.) სთხოვა აკივა ბარ-მოშეს, ნება დაერთო სალოცავის გარეშე დარჩენილ აშქენაზ ებრაელობას ელოცა ამ სინაგოგაში. აკივამ თავისი მრევლის ნებართვით, დადებითად უპასუხა აშქენაზების რაბინს კუფჩანს და მას შემდეგ ლახლუხათა სინაგოგაში გვერდი-გვერდ ორი სხვადასხვა -აშქენაზები და და ლახლუხები ერთად ლოცულობდნენ ერთ ღმერთზე, იქვე იყო მაცის საცხობიც. რაბი კუფჩანს უმაღლესი საასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული, თორის დიდი მცოდნე იყო, გამოირჩეოდა ლოცვების მაღალ დონეზე შესრულებით, კაი დღეებში და შაბათობით მისი ლოცვების მოსასმენად ბევრი ქართველი ებრაელიც მოდიოდა და ტკბებოდა (1952 წელს რაბი კუფჩანსაც მისწვდა ბნელეთის მოციქულთა ხელი — იგი დააპატიმრეს, სცემეს, დააგლიჯეს წვერი. განთავისუფლების შემდეგ, დიდხანს აღარ უცოცხლია — მალე გარდაიცვალა) . აქვე შევნიშნავ, რომ როშ ჰაშანისა და ქიფურის დღეებში აშქენაზების ლოცვაში ხშირად ლოცულობდნენ მოწვეული ხაზნები საბჭოთა კავშირის ევროპული რესპუბლიკების ქალაქებიდან, განსაკურებით რიგიდან . მათი ლოცვა მლოცველებს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

50-იანი წლების დასაწყისში ლახლუხა ებრაელების დიდი ნაწილი გადაასახლეს და ლახლუხების სინაგოგა პრაქტიკულად აშქენაზ ებრაელებს დარჩათ, ხოლო 1980-იანი წლებიდან, ისრაელში დიდი ალიის შემდეგ, სალოცავის მოქმედების შენარჩუნების მიზნით, ძირითადი მლოცველები ქართველი ებრაელები გახდნენ. რამდენიმე წელს როშ ჰაშანის და ქიფურის დღეებში აშქენაზების ლოცვაში ხაზნად ხშირად ლოცულობდა ნისან ბაბალიკაშავილი.

აშქენაზების ლოცვა მოქცეულია შიდაკვარტალურ განაშენიანებაში. შენობა გეგმაში სწორკუთხედია, ერთსართულიანი, ორსინათლიანი. მეორე სართულის დონეზე აქვს ხის ანტრესოლი-გალერეა, რომელიც ხედერადაც გამოიყენება. აშენებულია წითელი აგურით, კედლების სისქე 75 სმ-ია, ანტისეისმური რაიმე კონსტრუქციული ღონისძიებების გარეშე (ჩვენ წარმოგიდგენთ შენობის მდგომარეობას 2008 წლამდე). შენობა არ აღინიშნება მაღალი კაპიტალურობით. შენობის გარე ზომებია 10.9 ხ15.50 მ, სიმაღლე — 8.6 მ, სამხრეთის ფასადზე მინაშენით არონ ჰაკოდეშისათვის (სიგრძეზე 2.25 მ,სიგანით 6.3 მ, სიმღლით 4.5 მ). შიდა ფართი დაახლოებით135 კვ.მ-ია, განკუთვნილია დაახლოებით 100 მლოცველისთვის. აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლებს აქვთ ფანჯრის ღიობები: პირველ სართულზე, სწორკუთხოვანი და მეორე სარულზე-წრიული. სამლოცველო დარბაზის სახურავი ორქანობიანია, ხის სამკუთხა მსუბუქი ფერმებით, მაღალ დონეზე მოწყობილი ქვედა შემკრავი სარტყლით (რის გამოც კედლებს გადაეცემა განივი ძალები-კედლები იხრება ვერტიკალიდან). ფერმებზე შიგა მხრიდან შეკიდულია ხის ცილინდრული მოხაზულობის ჭერი გაჯის ბათქაშით. სახურავის ბურვილი -თუნუქის (1980 წლამდე კრამიტით იყო გადახურული). შოთა ბოსტანაშვილი წერს:”ექსტერიერის თვალსაზრისით, იგი განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობას არ წარმოადგენს, ხოლო ინტერიერში ყურადღებას იქცევს არონ ჰაკოდეშის ფასადური გაფორმება და რიტუალური საგნების ატრიბუტიკა. განსაკუთრებიული აღნიშვნის ღირსია ჰეხალის ფარდა ლომების გამოსახულებით. საინტერსოა შენობის ორიენტაცია. შენობ აწმინდა კარადით ორიენტირებულია სამხრეთისაკენ, ანუ იერუსალიმისკენ. ეს ტრადიცია ჩვ. წ. აღ. III საუკუნიდან იღებს სათავეს და ე. წ. ტრანსიონალურ ტიპს წარმოადგენს. არონ ჰაკოდეშის ფასადური გადაწყვეტა ამავე დროის ტრადიციებს განეკუთვნება. ინტერიერის სიმბოლიკაში აქტიურად მონაწილეობს სამი წრიული ფანჯრის ვიტრაჟი ექსოგრამის გამოსახულებით. რაც შეეხება სინაგოგის მოკრძალებულ ადგილმდებარეობას და ექსტერიერს — ეს გვიანი ხანის ევროპული ნიშანია, ებრაელთა დევნით და სინაგოგების წართმევით გამოყოლილი ინერცია. „დროთა განმავლობაში შენობა დაზიანდა. მას პირველი რესტავრაცია 1970-იან წლებში გაუკეთდა, რომლის დროსაც შენობა გაამაგრეს. იმის გამო რომ აღმოსავლეთის კედელი ვერტიკალიდან გადახრილი იყო, საძირკველს გვერდიდან, რომლის ჩაღრმავებაც 4.0 მ-მდეა,მთელ სიღრმეზე მიაშენეს მონოლითური ბეტონის საყრდენი კედელი სიგანით 1.2 მ და აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები ერთმანეთთან დააკავშირეს ლითონის 4 შემკოჭით. კრამიტის სახურავი შეცვალეს უფრო მსუბუქი თუნუქის ბურვილით, გაუკეთეს კოსმეტიკური რემონტიც (გამაგრების სამუშაოების აღწერა 1995 წელს ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებს ემყარება). 1995 წლისათვის შენობის კედლებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთის განივ კედელში, აღინიშნებოდა დახრილი და ვერტიკალური გამჭოლი ბზარები, აღმოსავლეთის კედლის ვერტიკალიდან მნიშვნელოვანი გადახრა 25 სმ. ანტრესოლის საყრდენი ხის დგარებიც ვერტიკალიდან გადახრილი იყო. პარკეტის იატაკი ალაგ-ალაგ ჩაწეული იყო და სხვ;

1995 წელს რაბი არიელ ლევინის ინიციატივით და “ჯოინთის” ფინანსური მხარდაჭერით (“ჯოინთის” წარმომადგენელი კავკასიაში ბ-ნი მენახემ ელაზარი) შესწავლილ იქნა აღმოსავლეთის კედლის და ხის დგარების დახრის გამომწვევი და კედლებში ბზარების წარმოშობის მიზეზები, მათი გავლენა შენობის სიმტკიცესა და მდგრადობაზე, დამუშავდა დაზიანებების გავლენის უვნებელყოფის ღონისიებები, დადგინდა იატაკის ჩაწევის მიზეზები და შეთავაზებული იქნა მათი გამოსწორების რეკომენდაციები. გამოკვლევის შედეგები (გამოკვლევები ჩაატარეს და რეკომენდაციები დაამუშავეს ტენ.მეცნ. კანდიდატებმა მოსე დანიელაშვილმა და ბორის სამკოვმა; შენობის ვიზუალურ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა გუგული შათაშვილმა) საფუძვლად დაედო შესასრულებელი სამუშაოების ტექნიკურ პროექტს (ავტორები მ.დანიელაშვილი, ინჟ. ვ.ბოტეზატი). გამოკვლევის შედეგების განხილვაში სალოცავის გამგეობასთან ერთად მონაწილეობდნენ რაბინი არიელ ლევინი და “ჯოინთის” წარმომადგენელი კავკასიაში ბ-ნი მენახემ ელაზარი. ეს პროექტი 1995 წელს, იმ ეკონომიკურად მძიმე წლებში, რაბინ არიელ ლევინის მიერ მოპოვებული თანხით და “ჯოინთის” ფინანსური მხარდაჭერით (წარმომადგენელი კავკასიაში ბ-ნი მენახემ ელაზარი) გარკვეულწილად განორციელდა: მოწესრიგდა ეზოს დაზიანებული წყალსადენ-კანალიზციის სისტემა, აღმოსავლეთის და დასავ-

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აჰარონ მდინარაძე

ფ ა რ ა ო ნ ი

ახაშვეროშის მეფობის დროს, მისმა მარჯვენა ხელმა ჰამანმა, რომელიც იყო ყამალეკის შთამომავალი, გადაწყვიტა ებრაელების განადგურება, დაარწმუნა ყველა თავის „სიმართლეში" და 13 ნისანს 3404 წელს, ოლქების ხელმძღვანელებისთვის შეადგინეს წერილი-სადაც მოყვანილი იყო ახაშვეროშის ბრძანება — ებრაელების მთლიანი განადგურებისა - უნდა განადგურებულიყო ყველა — ბავშვებიდან მოხუცების ჩთვლით, მათი ქონების გაძარცვის და მითვისების უფლებით, დანიშნული იყო თარიღიც 12 ადარი 3405 (356 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) წელი.

ისტორიაში ყველა რაშაყი ცდილობდა ეჯობნა მისი წინამორბედისათვის-ყესავი აცხადებდა ყაენი (კაენი) სულელი იყოო, რომ ჰეველი მამის - ადამის სიცოცხლეში მოკლაო, როგორც ვიცით მას მერე კიდევ შეეძინა უფრო წესიერი შვილიო. თვითონ ყესავი ფიქრობდა იაყაკოვს მაშინ მოვკლავ, როდესაც მამა-იცხაკი გარდაიცვლებაო.

ფარაონი იძახდა ყესავი-სულელი იყოო, რომ დაუშვა ის რომ მის ძმას შვილები-ბიჭები შეეძინაო, და გამოსცა ბრძანება -ყველა ახალშობილი ვაჟი - ჩააგდეთ ნილოსშიო, ხოლო გოგონებმა იცოცხლონო.

ჰამანი ამბობდა ფარაონი სულელი იყო, ვერ ხვდებოდაო რომ ამ გოგონებს ეყოლებოდათ შვილებიო და გადაწყვიტა ყველა ებრაელის განადგურება ერთ დღეს.

მორდეხაი, რომელიც იმ პერიოდში ცხოვროდა და იყო ბინიამინის შტოს შთამომავალი, ხვდებოდა რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ებრაელების ცოდვების გამო, რადგან მათ სცეს თაყვანი კერპს ნავუხადნეცარის დროს და მიიღეს სიამოვნება რაშაყი ახაშვეროშის ტრაპეზაზე. მორდეხაიმ მიმართა ესთერს-ახაშვეროშის მეუღლეს და შეატყობინა ამ ბრძანების შესახებ. მათ გადაწყვიტეს - სამდღიანი მთლიანი შიმშილობის გამოცხადება ყველა ებრაელისათვის — ტიროდნენ, ლოცულობდნენ და ინანიებდნენ თავის ცოდვებს

ესთერმა დაპატიჟა ახაშვეროში და ჰამანი თავისთან ნადიმზე, სადაც პირველად გაანდო საიდუმლო, რომ ისიც ებრაელია, და უკვე მეფე ახაშვეროშმა მოაწერა ხელი ყველა ებრაელის განადგურებაზე, იქვე გაირკვა რომ ჰამანი ადრე ცდილობდა ახაშვროშის მონამვლას და მეფემ მაშინვე გასცა ბრძანება მისი ჩამოხჩობის შესახებ.

16 ნისანს როდესაც ჰამანი ფიქრობდა ჩამოეხრჩო მორდეხაი, ის თვითონ ჩამოახრჩეს მორდეხაისთვის გამზადებულ ადგილზე.

ახაშვეროშმა პირველი მინისტრის ბეჭედი გადასცა მორდეხაის, მაგრამ მან უთხრა ესთერს და მორდეხაის, რომ მას არ შეუძლია თავის ბრძანების გაუქმება, მაგრამ მისცა უფლება მისი სახელით ნებისმიერი წერილის დაწერისა ებრაელებისთვის ყველა ოლქში.

23 სივანს- 70 დღის-თეშუბის- ლოცვის და ცოდვების მონანიების შემდეგ, მორდეხაის ბრძანებით ყველა 127 ქვეყანაში გაიგზავნა ახალი წერილები, სადაც ეწერა, რომ მეფე ახაშვეროში აძლევს ყველა ებრაელს უფლებას დაიცვან თავის თავი 13 ადარს და გადაარჩინონ თავიანთი ოჯახები.

13 ადარს, როდესაც დანიშნული იყო ებრაელების განადგურება, ყველაფერი მოხდა საპირისპიროდ, ისრაელებმა დაამარცხეს თავიანთი მტრები

მორდეხაი რომელიც ამავე დროს იყო სანჰედრინის ხელმძღვანელი - დაადგინა რომ 14 და 15 ადარი ამიერიდან იქნება დღეასაწაულის დღეები, ხოლო ეს ისტორია მოვიდა ჩვენამდე "მეგილათ ესთერის" სახელწოდებით

ფურიმის დღესასწაულში ჩვენ უნდა შევასრულოთ შემდგი მიცვები

1- „მეგილათ ესთერის" კითხვა ორჯერ-საღამოს და დილით

2-საჩუქრები გაჭირვებულებისთვის - მინიმუმ 2 ადამიანს-ტრაპეზის თანხა ან შესაბამისი პროდუქტები

3-გზავნილი მეგობარს - მინმუმ ერთს -ორი ქაშერი პროდუქტისგან შემდგარი ამანათი

4-ქეიფი-ვალდებული ვართ ვიმხიარულოთ და დავლიოთ ალკოჰოლური სასმელი-უფრო მეტად ვიდრე სხვა დღეასაწაულებში

ჩვენი ხახმები ამბობენ, რომ ყველა თაობაში არის მცდელობა ისრაელების განადგურების, მაგრამ როდესაც ჩვენ დავდივართ ჰაშემის გზებით, ვასრულებთ მის მიცვებს და დავალებებს, ვერავინ ვერაფერს ვერ დაგვაკლებს, დაე, ვიაროთ მის გზებზე და იყოს მშვიდობა ისრაელში, საქართველოში და მთელ მსოფლიოში, და მალე დადგეს ის დრო როდესაც იქნება ჰაშემი მეფე მთელ სამყაროზე, და იმ დღეს იქნება „ჰაშემი ერთი და მისი სახელი ერთი" (ზახარია 14:9)

ლეთის კედლები ერთმანეთთან დააკავშირდა შენობის მთელ სიგრძეზე დამატებითი ლითონის შემკოჭებით, დაბზარული კედლები გაძლიერდა, დახრილი ხის დგარები ახალ ბეტონის ფუძეზე დაფუძნდნენ და გასწორდენ, მოეწყო პარკეტის ახალი იატაკი, გაკეთდა კოსმეტიკური რემონტიც. რემონტის დასრულების შემდეგ ბ-ნმა შალვა ქოსაშვილმა იმ მძიმე ეკონომიკურ პირობებში ლოცვის დარბაზი მრავალსანთლიანი ჭაღებით დაამშვენა (იხ. სურათი 9.ბ).

2002 წლის 25 აპრილს 17:41საათზე თბილისში 4,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის სიმძლავრე ეპიცენტრში - 7 ბალი იყო. ეპიცენტრი იყო ჩუღურეთიდან თბილისის ზღვის მიმართულებით. დაიღუპა 5 კაცი, დაზიანდა 12 ათასი შენობა, განსაკუთრებით ძველუბნებში - ჩუღურეთში, სოლოლაკში, ნაძალადევში, მთაწმინდის რაიონში. როგორც ვიკიპედიიდან შევიტყვე, აშქენაზების სინაგოგის შენობა ამ მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა და საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს. სინაგოგის აღდგენა თავს იდო ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა ალექსანდრე მაშკევიჩნა. ფაქტიურად მან ახალი ბეით ქნესეთი ააგო, ამ კეთილშობილურ საქმეში თავთავიანთი წვლილი შეიტანეს თემურ საფირმა, დავით იაკობაშვილმა, მ კ.მირილაშვილმა, თბილისის ჯამაათის წევრებმა.ყოველი ამათგანის გვარი მადლიერებით გახლავთ მოხსენიებული სინაგოგის კედლებზე გაკრულ დაფებზე.სინაგოგას ალ.მაშკევიჩის დედის რახელის სახელი — „ბეით რახელი" ეწოდა.

აღდგენილი ბეით-ქნესეთი შედგება სალოცავი და სადღესასწაულო დარბაზებისგან, აგრეთვე საქალებო აივნისაგან. პირველ სართულზე განთავსებულია სალოცავი დარბაზი.თავდაპირველად იგი ერთსართულიანი იყო. რეკონსტრუქციის შედეგად ამოღებული ქნა მიწა და ქვედა სართულზე განთავსდა სალოცავი, რომელშიც გადააბრძანეს ძველი არონ-ჰაკოდეში, რომელიც თითქმის 150 წლისაა. სინაგოგის ენობას სარკმელებზე გაუკეთდა ფერადი ვიტრაჟები. ძველ არონ-ჰაკოდეშთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, მიუხედავად იმისა, რომ მისი დოკუმენტალური ან მოწმეების საშუალებით დადასტურება არ შემიძლია. ეს მოსაზრება ასეთია: ძველი,აშქენაზების ლოცვის არონ-ჰაკოდეში გამოყენებითი ხელოვნების მაღალი დონის ნაწარმოები იყო (იხ. სურათი 9, გ) და არა მგონია ლახლუხების მოკრძალებულად აგებულ სინაგოგაში თავიდან ყოფილიყოს და მით უმეტეს, თუ ის თითქმის 150 წლისაა, ის აშქენაზების ჩამორთმეული ერთ-ერთი ლოცვიდან, უფრო მეტად კათოლიკების ქუჩაზე მდებარედან, უნდა იყოს გადატანილი. რაც შეეხება არონ ჰაკოდეშს,რომელიც ვიკიპედიაშია წარდგენილი (იხ. სურათი 10 ბ,), ის ნამდვილად მაღალ დონეზე შესრულებული მშვენიერი დიდებული, ჩემი აზრით, თანამედროვე არონ ჰაკოდეშია. რეკონსტრუქციის შემდეგ მე პირადად ეს ლოცვა არ მინახავს, მაგრამ როგორც შოთა ბოსტანაშვილმა პირად საუბარში მითხრა, რეკონსტრქუცია წარმატებული გამოვიდა.

ცხინვალელების ლოცვის სახელით ცნობილი ყოფილი ლოცვა მდებარეობს ლესელიძის, დღეს კოტე აფხაზის ქუჩაზე №43 შენობაში, ყოფილი იერუსალიმის ქუჩის გადაკვეთაზე, ახალციხელების ლოცვიდან დაახლოებით 50 მ-ის დაშორებით, ლოცვა დაარსებულია 1922 წელს უკვე არსებულ შენობაში, რომელიც ცხინვალელმა ებრაელებმა შეიძინეს. ლოცვის შენობა ორსართულიანია, გეგმაში გარე ზომებით დაახლოებით 10ხ16მ, სიმაღლე 8.5 მ, აგებულია მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში (თარიღდება 1882 წლით), კედლების წყობით ქართული აგურისგან, ხის შუშაბანდებით, ეზოთი, სადაც მაცის საცხობი და ფრინველის სასაკლაოც იყო. სალოცავის ფართი 120 კვ.მ, მლოცველთა რაოდენობა-120-მდე, სადღესასწაულო დღეებში - 300 მდე. უნდა აღინიშნოს, რომ შენობის შეძენაში და მის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აბნერ მამისთვალიშვილი (მამისთვალოვი) — ცნობილი ენათმეცნიერის, მორდეხ მამისთვალიშვილის მამა, პაპაჩემი დანიელ დანიელაშვილი (დანკო დანიელოვი), აბრამ დავარაშვილი და სხვები. გარდაცვალებამდე (1942 წ.) ამ სალოცავის ხელმძღვანელი, „გაბაი" აბნერი იყო.მის შემდეგ სალოცავს ჩამორთმევამდე (1951-1953 წლების ებრაელთა რეპრესიების პერიოდში 1953 წლის 13 იანვარს სალოცავი დაკეტეს, ცხინვალელ ებრაელებს ჩამოართვეს და კომუნალურ საცხოვრებელად აქციეს) დიდი ძალისხმევით ხელმძღვანელობდა ებრაელთა შორის ცნობილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე არონ ჯინჯიხაშვილი. იგი სალოცავის დაკეტვის და ჩამორთმევის შემდეგ თავდადებული ცდილობდა მის გახსნას და დაბრუნებას, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. აღსანიშნავია,რომ ამ სალოცავში თავიდანვე რაბინად მოიწვიეს და აქვე პირველ სართულზე ოჯახით დაასახლეს დიდი რაბი დავით ბააზოვი (1883-1947წ.წ.), თავდადებული სიონისტი და ტრიბუნი (შევნიშნავ, რომ დავით ბააზოვის და მისი მეუღლის საძინებელი ოთახი დღისით გამოყენებული იყო გაზეთ "მაკავეელის" რედაქციისათვის). გარდაცვალებამდე იგი ამ ლოცვაში მოღვაწეობდა. მისი ოჯახი წლების განმავლობაი აქ ცხოვრობდა. მათ კარის მეზობლად პირველ სართულის მეორე ნახევარში ცხოვრობდა შამაში მოშეს მრავალსულიანი ოჯახი. სალოცავის გაფართოების და ებრაულ ენაში სამეცადინო ოთახების შექმნის მიზნით (ერთხანს აქ ამ მოღვაწეობას რაბი ხახამ ისრაელ ბაბალიკაშვილი ეწეოდა, რომლის თალმიდი მეც ვიყავი), რაბი დავით ბააზოვის ოჯახი (საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნითაც) სხვა ბინაში გადაიყვანეს.არონ ჯინჯიხაშვილისავე ინიციატივით და ცხინვალელების ლოცვის ჯამაათის ფინანსირებით საკმაოდ კეთილმოეწყო სალოცავის შენობა და ეზო. ამ ლოცვაში მოღვაწეობდნენ რაბი, ხახამი და შოხეტი მეირ ჯინჯიხაშვილი,ხახამ მიხეილ პაპისმედოვი და სხვ.ლოცვაში დაარსებიდან ლოცვებს ასრულებდა დავით ბააზოვი. 1929 წელს მთავრობამ დავიდ ბააზოვს მისი დარაშების (ქადაგებების, ლექციების) გამო თებაზე ასვლა აუკრძალა. ამის შემდეგ ლოცვებს ასრულებდ ხახამი გაბრიელ ჯანაშვილი სურამიდან, 1945 წლიდან კი ლოცულობდა ხაზანი მოშე ჯანაშვილი (იგი რაბი დავით ბააზოვის დისშვილი იყო, სამამულო ომის მონაწილე, ომიდან მარჯვენა ხელის დაზიანებული მტევნით დაბრუნდა). ჯამაათის აქტიური წევრები იყვნენ დავით მამისვთალოვი, ძმები შიმყონ, იონა, იაკობ დავარაშავილები, ძმები პაპსმედოვები, ჩემი ძიები რახამო ჯანაშვილი და მიხაკო და აბრამ დანიელოვები, მამაჩემი არონ დანიელაშვილი. (დავარაშვილები, ჯანაშვილები, ძორელაშვილები, კაკიაშვილები, მოშიაშვილები, კრიხელები და სხვ.). ისინი თბილისში ჩამოსახლებულნი იყვნენ ცხინვალიდან, ქარელიდან, გორიდან, სურამიდან. და სხვ. ცხინვალელების ლოცვის დაკეტვის შემდეგ, ამ ლოცვის ჯამაათი ძმურად მიიღო ახალციხელების ლოცვამ: პირველი სართულის სამლოცველო დარბაზში შესასვლელთან მარჯვენა კუთხე დაუთმეს, სადაც მათ, ჩამორთმეული ლოცვიდან საკუთარი სკამები გადაიტანეს. 1952 წლიდან დღემდე ცხინვალელების სალოცავის ყოფილ შენობაში, რომელიც დღეს სავალალოდ გამოიყურება, საცხოვრებელი ბინებია განთავსებული. დასანანია, რომ ამ შენობას მემორიალური დაფა არ გააჩნია.

(გაგრძელება იქნება)

მიხეილ მირილაშვილის ტექნოლოგიური ინოვაცია

ისრაელში შეიქმნა ავტომობილი, რომელიც ჰაერს წყლად გადააქცევს. **WaterGen**-ის თავმჯდომარე, ისრაელელი ქართველი ებრაელი ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი, რომლის მეთაურობითაც ეს ახალი გამოგონება დამუშავდა, ამბობს:

— იმ ეპოქაში, როცა მსოფლიოს ორ მილიარდ ადამიანს არა აქვს წვდომა სუფთა სასმელ წყალთან, **WaterGen**-ის ტექნოლოგია სტიქიური უბედურებებისა და ტექნოგენური კატასტროფებებისას მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის საშუალებაა და დიდი გარღვევაა ადამიანების წყლით უზრუნველყოფის — მათი სიცოცხლის გადარჩენის საქმეში. ისრაელის ეს ტექნოლოგია მარად არსებული წყაროსაგან — ჰაერისაგან — ადამიანებს წყალს აძლევს დაუყონებლივ, ყოველგვარი საამშენებლო სამუშაოს გარეშე.

შეიქმნა სპეციალური ავტომობილი ჰაერიდან წყლის მიმღები მოწყობილობით და მას ძალუძს მივიდეს ნებისმიერ ადგილას, სადაც ადამიანებს აღარა აქვთ წყალი და შეუძლია იხსნას ისინი სიკვდილისა და ინფექციების გავრცელებისაგან. ამ საბარგო მანქანაზე განლაგებულ მოწყობილობას, ძალუძს ჰაერიდან მიიღოს 900 ლიტრა სუფთა სასმელი წყალი, შიდა რეზერვუარი კი 200 ლიტრ წყალს იტევს. იგი ჩამოისხმება როგორც დაგრილებული, ასევე ოთახის ტემპერატურისა.

ფოტოზე აღბეჭდილია მომენტი, როდესაც პალესტინელები ხელს აწერენ WaterGen-ის პალესტინის ტერიტორიაზე დანერგვას.

ფ უ რ ი მ ი

1. თანახის რომელი წიგნი მოგვითხრობს ფურიმის შესახებ ?
ა) რუთი ბ) ესთერი გ) გამოსვლა
2. რა ჰქვია ტკბილეულობას, რომელსაც სპეციალურად ფურიმისთვის აცხობენ?
ა) ესთერის თვალები ბ) ამანის ყურები გ) მორდეხაის ჭკუა
3. რამდენ ხანს გრძელდება ესთერის მარხვა? ა) ორ დღეს ბ) მზის ჩასვლამდე გ) ერთ დღეს

4. რამდენი თავისგან შედგება ესთერის წიგნი?
ა) ათი ბ) თორმეტი გ) რვა
5. რა ერქვა დედოფალს, ვისი ადგილიც ესთერმა დაიკავა?
ა) ვაშთი ბ) თამარი გ) ჰაგაი.
6. ვისი შტოდან იყო მორდეხაი?
ა) იუდას ბ) ლევის გ) ბენიამინის
7. რამდენჯერ მოიხსენიება გამჩენი ესთერის წიგნში?
ა) 7 -ჯერ ბ) არცერთხელ გ) 70-ჯერ.
8. თანახის მიხედვით, რამდენი შვილი ჰყავდა ესთერს?
ა) ერთი ბ) არ არის ნახსენები გ) ხუთი
9. თანახის რომელ ნაწილშია ესთერის წიგნი ?
ა) თორა ბ) ნევიიმ გ) ქთუვიმ
10. ესთერის მეორე სახელი ? ა) ასინეთ ბ) ჰადასა გ) იშთარ

პასუხები:

1. ბ), 2. ბ), 3. გ), 4. ა), 5. ა), 6. გ), 7. ბ), 8. ბ), 9. გ), 10. ბ).

შეადგინა თინა თევზაძე-ვილნაუერმა

ცვი პატლასის ლექცია-ჩვენება

რაბი ცვი პატლასი საგანმათლებლო საქმიანობას ეწევა — იგი ერთ-ერთია იმ სასულიერო მღვაწეთა შორის, რომლებიც სისტემატურად ცდილობენ იუდაიზმის მოძღვრება სახიერად — კინოს ენითაც მიიტანონ ებრაული თემების წევრებამდე. ამის დასტური გახლდათ 23 თებერვალს თბილისის დიდ სალოცავში მის მიერ ჩატარებული ლექცია-ჩვენება. ცვი პატლასის მოღვაწეობის არსი თორის საკვირაო საკითხავ თავებზე (ფარაშათ შავუა) საუბარი- ჩვენება გახლავთ. რაბი მკითხველს ესაუბრება ამათუიმ საკვირაო საკითხავის არსზე — იმაზე, თუ რას ჩაგვაგონებს, რას გვასწავლის — მკითხველის ყურადღებას რომელი მცნებებისაკენ წარმართავს, ესათუის საკვირაო საკითხავი.

რაბის მოღვაწეობის მახასიათებელი ის გახლავთ, რომ თვალსაჩინოებისათვის საუბარს კინო ჩვენებაც ახლავს — ცოცხალი სურათებით ცდილობს მსმენელ-მაყურებლისათვის იოლად მისაწვდომი და ასათვისებელი გახადოს საკვირაო საკითხავის არსი — დიდ სალოცავში გამართულ ლექცია ჩვენებაზე რაბიმ ორ საკვირაო თავზე ისაუბრა — „ითროსა“ და „ მიშფატიმზე“ — წარმოადგინა მის მიერვე ამ საკითხავებზე შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმები. თვითოეული ფილმის ქრონომეტრაჟი 10-12 წუთია.

ჯამაათის წევრებმა ამ ლექცია-ჩვენების მიმართ ინტერესი გამოავლინეს.

მენორა – 27

27 წლის წინათ — 1993 წლის მარტში, სწორედ ფურიმის წინა დღეებში, ამერიკის ებრაელთა საქველმოქმედო ორგანიზაციის „ჯოინთის“ (მაშინ კავკასიის ქვეყნებში მისი წარმომადგენელი მენახემ ელაზარი-აქოშვილი გახლდათ) ფინანსური და მორალური თანადგომით საქართველოში დაიბადა ებრაული თემატიკის გაზეთი „მენორაჰ.“უკვე 27-ე წელია გაზეთი ცდილობს მოუღლელად ამუქებდეს საქართველოს ებრაელთა წარსულსა და თანამედროვეობას. ბოლო წლებში, რაც საქართველოში ებრაელთა რაოდენობა შემცირდა, გაზეთი აფართოებს თავის არეალს — დღეს ჩვენი ავტორები, წარმოდგენილ მასალათა ავტორები, კვლევის ობიექტები არა მხოლოდ საქართველოში დარჩენილი, არამედ ისრაელში, აშშ-ში, რუსეთსა, თუ სხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ქართველი ებრაელები არიან — ისინი სად, რომელ კონტინენტზე, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდნენ, ქართველ ებრაელთა განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ და მათი წარმატება — საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწევები, გაზეთის ინტერესის საგანი გახლავთ.

ღვთის შეწევნითა და რედაქციის მეცადინეობით, ამ 27 წლის განმავლობაში არცერთი ნომერი არ გამოგვიტოვებია. გაზეთი გამოდის სისტემატურად—ხან თვეში ორჯერ, ხანაც თვეში ერთხელ. პერიოდულობა დამოკიდებულია დაფინანსების ოდენობაზე. ამას გარდა, გამოიცა კრებულები „მენორა“-10“, „მენორა-15“, „მენორა-20“, „მენორა-25.“ ამ კრებულებში შესულია იმ წლების განმავლობაში გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. ამდენად, ეს კრებულები ფაქტიურად გახლავთ, ცხადია არასრული, მაგრამ მაინც ისტორია დროის ამ მონაკვეთის ქართველი ებრაელობისა.

2003 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა გაზეთის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული, ხოლო 2018 წელს ევრაზიის ებრაელთა კონგრესის თანადგომით, ისრაელში აღინიშნა გაზეთის მეოთხედსაუკუნოვანი იუბილე.გაზეთს საიუბილეო თარიღებს ულოცავდნენ საქართველოს პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, საზოგადო, თუ რელიგიური მოღვაწენი.

დღეს გაზეთი გულითად მადლობას მოახსენებს ყველა იმ ორგანიზაციასა და პიროვნებას--ავტორებს. რომლებიც ყურადღებას არ აკლებდნენ და კვლავაც არ აკლებენ „მენორას“.

ისევე როგორც 27 წლის წინათ, გაზეთი ამჯერადაც გულითადად გილოცავთ ფურიმის დღესასწაულს.

მრავალს დასწრებოდეთ!

[redacted]
299.90.96

EAJC
EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

[redacted]

[redacted]
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003